უფასო

ჩვენი გაზეთი

31 ივლისი
2017 წელი

№6 (24)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა.(ა.)ი.პ. ინფორმაციის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი

მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ გოგსაძემ ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსთან კახა მსხვილიძესთან ერთად მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მოინახულა.

ორფენიანი ასფალტო-ბეტონის საფარით ეწყობა სოფელ პირველი და მეორე ობჩის სოფელ როდინოულთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზა (3კმ.); სოფელ პირველ ობჩაში მთისძირისკენ მიმავალი გზა (1,160კმ.) და ბაღდათი-საკრაულას ს/გზის საკრაულა-წიფის (3,1კმ.) მონაკვეთი. სოფელ ფერსათიდან სალხინოსკენ მიმავალი გზის 0,5 კმ-იანი მონაკვეთისა და სოფელ დიმში მამუკაშვილების შესახვევიდან ეკლესიამდე მისასვლელი გზის 1,5 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია მოხდება 5 მეტრიანი სიგანის რკინა-ბეტონის საფარით.

დღეის მდგომარეობით, სამუშაოების დიდი ნაწილი შესრულებულია, კერძოდ, სოფელ პირველ ობჩაში დაგებულია ასფალტობეტონის 5სმ-იანი სისქის ქვედა ფენა 4400 კვადრატულ მეტრზე და მოწყობილია ღვარსადენები, მილხიდები და ცხაურები. სოფელ როდინოულთან დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე შესრულებულია გრუნტის მოსამზადებელი და ღვარსადენების სამუშაოები. საკრაულა-წიფის გზის მონაკვეთზე სამუშაოები უმრავლესწილად შესრულებულია ქვიშა-ხრეშითა და ქვიშა-ღორღით, დაჭაობებულ ადგილზე მოეწყო დრენაჟი, განმენდილია რამდენიმე მილხიდი და პროექტის ფარგლებში კიდევ რამდენიმე მათგანი მოეწყობა. მამუკაშვილების შესახვევიდან ეკლესიამდე მისასვლელი გზის მონაკვეთის 1675 კვადრატულ მეტრზე შესრულებულია ბეტონის საფარი, ხოლო მთლიანადაა მომზადებული საფუძველი (გზის მოხრეშვა). სალხინოსკენ მიმავალ გზაზე შესრულებულია 540 გრძივი მეტრის მობეტონება, ამჟამად მიმდინარეობს პროექტის კორექტირებაზე მუშაობა და შესაძლებელია კიდევ დაემატოს გზის ბეტონის საფარით მოწყობა.

ზემოთ აღნიშნული პროექტები ხორციელდება რეგიონალური განვითარების ფონდისა (რგფ) და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით. პროექტები გარდამავალია და გაგრძელდება მომავალში.

1 245 322 ლარი 4 ახალი პროექტისთვის

ინფრასტრუქტურა

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ივლისის №1401 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ბაღდათის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 1 245 322 ლარი. აღნიშნული თანხით და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 5%-იანი თანადაფინანსებით 2017 წლის ბოლომდე განხორციელდება შემდეგი 4 ინფრასტრუქტურული პროექტი:

– ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. კაკასხიდიდან სოფ. ხანამდე მისასვლელი გზის მონაკვეთის ბეტონის საფარის მოწყობა. სამუშაოზე გამოცხადდა 2 წლიანი შესყიდვა საწყისი სავარაუდო ღირებულებით 1 354 620 ლარი, მიმდინარე წელს დაფინანსდება 630 000 ლარის სამუშაო. შესყიდვის ფარგლებში სულ განსაზღვრულია 4,3 კმ. არმირებული ბეტონის გზის და ბეტონის კიუვეტეების მოწყობა. პროექტის დასრულების შემდეგ უკვე დამუშავებული ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე დამატებით განხორციელდება სოფ. ხანში 1,7 კმ. გზის იგივე ტექნოლოგიით კეთილმოწყობა. ამ პროექტებთან ერთად საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დაგეგმილი სამუშაოების განხორციელება უახლოეს 3-4 წელიწადში უზრუნველყოფს მდ. ხანისწყლის ხეობის სოფლების კეთილმოწყობილი გზით დაკავშირებას მუნიციპალურ ცენტრთან.

– ქ. ბაღდათში ე. თოდაძის ქუჩის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია, საწყისი სავარაუდო ღირებულებით 207 000 ლარი, მოიცავს ქუჩის სავალი ნაწილის რკ/ ბეტონით და ქვაფენილით მოპირკეთებას.

– სოფ. დიმში ადამაძეებისა და გიორგიძეების უბანში მდ. ხანისწყალზე დაგეგმილია მძიმეწონიანი ლოდებით ნაპირსამაგრი ჯებირის მოწყობა და ადგილზე არსებული არხის კედლების პროფილირება გაბიონური წყობით; პროექტის საწყისი სავარაუდო ღირებულება შეადგენს 268 000 ლარს.

– ქ. ბაღდათში ბაღდათის ქუჩის გზის სავალი ნაწილის გვერდულის და აგრობაზრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა განხორციელდება რკ/ბეტონით, მოეწყობა ავტოსადგომები და გამწვანების ზოლი. შესყიდვის საწყისი სავარაუდო ღირებულება შეადგენს 205 283 ლარს.

ოთხივე პროექტზე გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერზე წინადადებების მიღება დასრულებულია, ამჟამად მიმდინარეობს პრეტენდენტთა შერჩევა-შეფასების ეტაპი. კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების გავლის შემდეგ გაფორმდება სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებები სამუშაოთა მოწოდებაზე და დაიწყება რეაბილიტაციის პროცესი.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ივლისის №1551 განკარგულებით უკვე გამოყოფილია თანხა სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ბაღდათის რაიონული სამსახურის ოფისის მშენებლობისათვის. მიმდინარე წელს დასრულდება აღნიშნული ობიექტის მშენებლობა, რაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ოპერატიულად განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურულ ბაზას.

2017 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტმა გასულ წლებთან შედარებით უპრეცედენტოდ მაღალი დაფინანსება მიიღო რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან. დღეის მდგომარეობით, გამოყოფილი თანხის მოცულობა შეადგენს 3 941 851 ლარს. მიმდინარე პროექტების წარმატებით განხორციელების შემდგომ კვლავ მოხდება სხვადასხვა საკითხის ინიცირება საქართველოს მთავრობის წინაშე, დამატებითი დაფინანსების მიღების მიზნით.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი
კახა მსხვილიძე

აგრო-აჯარა

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბაღდათის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურმა ბაღდათელ ფერმერებს მორიგი აგრო-ტური მოუწყო. პირველი ობიექტი ქობულეთის მუნიციპალიტეტის აგროსერვისცენტრი იყო – გვარა-ხუცუბნის ტერიტორიაზე, ხეხილოვნებისა და ვაზის სადედე, საკოლექციო-სადემონსტრაციო სანერგეში 7 ათას ძირამდე ვაზისა და ხეხილის სხვადასხვა ჯიშია გაადგილებული. კერძოდ, 25-მდე ვაზის ქართული და უცხოური სასუფრე-საღვინე ჯიშები, ასევე ვაშლის, მსხლის, ბლის, ატმის, მოცვის, ხურმის, აკტინიდიის, ფეიხოას, ქლიავის, ზეთისხილის. მოცვისა და კაკლის ნერგები. აღნიშნულ სანერგეში აკლიმატიზაციისა და ადაპტაციის პერიოდს გადიან ვაზის ისეთი სასუფრე ჯიშები, როგორებიცაა კარდინალი, კრიმსონ სიდლესი, დონ მარიანო, ალფონსო ლაველი, პრიმა, იტალია, დათიერი, ალედო, საბას მარგალიტი, ქართული საადრეო, სულთანიანი და სხვა. საღვინე ჯიშებიდან კი ჩხავერი, ცოლიკაური, ბათუმურა, ტაძიგურა, კლარჯული, ქაქუთურა, ციცქა, კრახუნა, ოჯალეში, ალექსანდროული, უსახელაური. თესლოვნებიდან მსხლის ისეთი ჯიშები, როგორიცაა კონფერენსიე, აბატი. ვაშლის ჯიშებიდან კი გოლდენ რაში, შამპანური

რენეტი, ფლორინა, ფუჯი კიკუ, რუბინოლა. გალა შნიკა, ფორლეიდი, რეტკანი, ტოპაზი, კანდიტ სინაპი, სამერლენდი და სხვა. აგროსერვისცენტრის აგრონომმა როლანდ ჩხაიძემ ბაღდათელ ფერმერებს ცენტრის მუშაობის სპეციფიკაზე ესაუბრა, სასათბურე და სანერგე მეურნეობები დაათვალიერებინე და ბოლოს ღვინის მარანშიც შეუძღვა.

ცენტრის მეზობლად, ახლახან გახსნილ „აგრომარკეტში“, ბაღდათელმა ფერმერებმა იხილეს სხვადასხვა კომპანიის მიერ სარეალიზაციოდ წარმოდგენილი სოფლის მეურნეობისათვის საჭირო და ფერმერისთვის სასურველი ხარისხიანი საქონელი.

ვეტერინარულ კლინიკაში, რომელიც მასპინძელთა თქმით, ავსტრიის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით და CARD ცენტრის დახმარებით გაიხსნა, სტუმრებმა აფთიაქი, ლაბორატორია, საოპერაციო და შეხვედრების ოთახები დაათვალიერეს.

ხუცუბნის დეკორატიული მცენარეების მეურნეობაში სტუმრობით კი აგრო-ტურის ივლისის ეტაპი დასრულდა.

ქუთაისში, სასტუმროში „ბაგრატი 1003“, „ფიფლ ინ ნიდ“ (PIN)-ის კოოპერატივებისთვის აქტივების საჩუქრად გადაცემის ცერემონია გაიმართა. ღონისძიებას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოადგილე იოსებ ხახალეიშვილი, ჩეხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ტომაშ პერნიცკი, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და კოოპერატივების განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ცერემონია ჩატარდა პროექტის „მცირე ფერმერთა კოოპერაციის და პროდუქტიულობის ზრდა იმერეთსა და რაჭაში” ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) მიერ.

ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამა საქართველოში 2013 წლიდან ხორციელდება. მისი მთავარი მიზანია სოფლად სიღარიბის შემცირება, სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების მხარდაჭერის გზით.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში მოქმედ კოოპერატივებიდან აქტივები საჩუქრად კოოპერატივებმა – „წყალობა“ და „მადლიანი ივერია“ – მიიღეს.

სიმინდის ანუ ღეროს ფარვანა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მიერ სიმინდის ფართობების დათვალიერების დროს შენიშნულ იქნა სიმინდის მავნებელი. მავნებლის ერთ-ერთი ფორმა ჩატანილ იქნა ქალაქ ქუთაისში სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონალური სამსახურის ლაბორატორიაში, სადაც იდენტიფიცირებულ იქნა სიმინდის ღეროს ფარვანა.

ფარვანა ამჟამად მატლის ფაზაშია, რომელიც ადვილად შესამჩნევია ისეთ ყანებში, სადაც სიმინდი ქეჩეჩოს ფაზაშია.

საქართველოში სიმინდის ფარვანა სიმინდის, ფეტვის, მზესუმზირას, კარტოფილის და სხვა მცენარეთა ნაყოფებს აზიანებს. ველური მცენარეებიდან ეტანება, ანწლს, ღიჭას, მამულას და სხვ.

სიმინდის ფარვანა, ზრდასრული მატლის სახით, მინდორში დარჩენილი სიმინდის ღეროებში, მსხვილღეროიანი სარეველა მცენარეების ღეროებში, ტაროების ნაქუჩებში, საქონლის გამოსაკვებად დამზადებულ დაზვინულ ჩალაში და სხვაგან იზამთრებს.

ფარვანას დედალი პეპელას წინა ფრთები მკრთალი ფერისაა, ორი მოშავო ხვეული ხაზით და შავი კიდეებით, შუაში კი მკრთალი ზოლით. სხეულის სიგრძე 13-15მმ, ფრთების გაშლა 26-32 მმ.

კვერცხის დება იწყება გამოფრენის მე-4-5 დღეს, დამატებითი კვების შემდეგ (დიდი მნიშვნელობა აქვს ჰაერის ტენიანობას). დაბალი ტენიანობის დროს კვერცხები არ იდება. კვერცხდება გრძელდება 15-25 დღე.

დედალი საშუალოდ დებს 250-350 კვერცხს, ოპტიმალურ პირობებში, როდესაც ტემპერატურა მაღალია და ფარდობითი

ტენიანობა 70-80%. ის 1250 კვერცხსაც კი დებს. კვერცხები იდება ფოთლის ქვედა მხარეზე, ჯგუფ-ჯგუფად, კვერცხები დაფარულია სასქესო ორგანოების დამატებითი ჯირკვლების სითხით. კვერცხები იდება სიმინდზე, სარეველა მცენარეზე და სხვა.

ახალგამოჩეკილი მატლი 1 საათის განმავლობაში შედის ფოთლის ფირფიტაში (ფირფიტას ემჩნევა განივმწკრივებად გაწყობილი გამჭოლი მრგვალი და წაგრძელებული ხვრელები), მის ყუნწში და აქ იწყებს კვებას. შემდეგ გადადის ღეროში, ტაროს ქოჩოზე და მის ფეხში.

მატლები ტაროებში ან მათ ყუნწებში ღრღნიან სასვლელებს და ჭამენ მარცვლებს (დაზიანების შემდეგ მძიმე ტაროები ტყდება. ასევე ქარში იმტვრევა გულამოჭმული სიმინდის ღეროები). ერთი მცენარის დაზიანების შემდგომ მატლი გადაცოცდება მეორეზე და ასე გრძელდება დაჭუპრებამდე. მატლი კანს იცვლის 4-5 ჯერ და საკმაოდ სწრაფად იზრდება.

აღსანიშნავია, რომ სიმინდის ფარვანას ინტენსიური გამრავლების დრო სიმინდის ნათესი საქონლით გათელილს მოგვაგონებს. მცენარეებს ემჩნევათ ხვრელებიც, საიდანაც მატლების ნაღრღნი ფქვილი გარეთ იყრება. ასე დაზიანებული იღუპება ან ძალიან მცირე მოსავალს იძლევა. მატლები ტაროებსაც აზიანებენ, რომლებიც თავით ქვემოთ ჩამოეკიდებიან ხოლმე. ტაროში მატლები სასვლელებს ღრღნიან და მარცვლებს ჭამენ, ზოგჯერ ნაქუჩშიც ძვრებიან, სადაც მთელ ზამთარსაც რჩებიან.

საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მიერ მიღებულ იქნა შესაბამისი ზომები: შესწავლილ იქნა მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობა, დათვალიერებულ იქნა სიმინდის ნათესი ფართობები თითოეულ ტერიტორიულ ორგანოში, ეცნობა არსებული მდგომარეობა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს ბატონ რ. ასათიანს, დაიბეჭდა საინფორმაციო ბუკლეტები მავნებელთან ბრძოლის მეთოდებისა და საშუალებების შესახებ, რომელიც დაურიგდათ ტერიტორიული ორგანოს გამგებლის წარმომადგენლებს, საკრებულოს წევრებს და ფერმერებს.

გამოვლინდა, რომ მავნებელი მასიურადაა გავრცელებული როხისა და ვარციხის ტერიტორიაზე, შეინიშნება აგრეთვე, წითელხევის, ფერსათის, დიმის, დიდველას, როკითის, პირველი და მეორე ობჩის ტერიტორიულ ორგანოებში.

ფარვანას წინააღმდეგ ბრძოლისათვის განსაკუთრებით ეფექტურია ბრძოლის ქიმიური მეთოდები. ფარვანას წინააღმდეგ გამოყენებულ უნდა იქნას შესაბამისი ინსექტიციდები. 1 ჰა ნათესზე საჭიროა 300-350 ლიტრი ხსნარი. წამლობისას აუცილებელია დავიცვათ უსაფრთხოების ნორმები და გავითვალისწინოთ მეტეოროლოგიური პირობები. თუმცა ამ პერიოდისათვის სიმინდის სიმაღლე დაახლოებით 1,5-2 მეტრია, რის გამოც მუნიციპალიტეტში არსებული ტექნიკით – შემასხურებელი აგრეგატით შეწამვლა შეუძლებელია.

საუკეთესო შედეგს იძლევა თესლბრუნვის შემოღება, სარეველებთან სისტემატური და დროული ბრძოლა, რაც პეპლებს არ მისცემს დამატებითი საკვების მიღების საშუალებას.

მომავალი წლისათვის, იმისათვის რომ თავიდან ავიცილოთ მავნებლის გავრცელება, დაზიანებული სიმინდი უნდა გადაიჭრას ნიადაგის ზედაპირთან რაც შეიძლება ახლოს. მოსავლის აღების შემდეგ ნაკვეთი მცენარეთა ნარჩენებისაგან სასწრაფოდ უნდა გაიწმინდოს და დაიწვას, შემდეგ გადაიხნას.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ მოგვმართოთ ქ. ბაღდათი. წერეთლის ქ. №9.

სოფლის მეურნეობის
სამინისტროს
ბაღდათის მუნიციპალიტეტის
საინფორმაციო-საკონსულტაციო
სამსახური

ᲑᲐᲦᲓᲐᲗᲘᲡ №2 ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ

„ათასწლეულის გამოწვევის ფონდ – საქართველოს“ მისიაა ჩვენს ქვეყანაში შრომის ბაზრის მოთხოვნებზე დაფუძნებული განათლების სისტემის დანერგვა. ეს ორგანიზაცია ახორციელებს პროექტებს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სექტორში აშშ-ის მთავრობის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC-ის) მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი 140 მილიონი აშშ დოლარის გრანტის (კომპაქტის) მეშვეობით.

„ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია“ არის ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებელი და ინოვაციური მიდგომების მქონე სააგენტო, რომელიც პროექტების დაფინანსებითა და განხორციელებით პარტნიორ ქვეყნებს ეხმარება უმუშევრობის და სიღარიბის დაძლევასა და ეკონომიკური ზრდის მიღწევაში.

საერთაშორისო ხელშეკრულება – ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტი – საქართველოს მთავრობასა და აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციას შორის 2013 წელს გაფორმდა და მისი რატიფიცირება მოახდინა საქართველოს პარლამენტმა. კომპაქტი, რომლის მოცულობაც 140 მილიონი აშშ დოლარია, 2014 წლის ივლისიდან მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ხორციელდება.

„ათასწლეულის გამოწვევის ფონდ – საქართველოს“ ერთ-ერთ პროექტში, რომელშიც ორგანიზაციამ 60 მილიონი დოლარი ჩადო და სკოლის სრულ რეაბილიტაციას გულისხმობს, ბაღდათის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის – ნინო მშვილდაძის ინიციატივით, ქალაქ ბაღდათის №2 საჯარო სკოლამ მიიღო მონაწილეობა. ეს კარგი შანსი იყო მისთვის. მართალია, სკოლაში ყოველ წელს რაღაც კეთდება, მაგრამ მისი სრული რეაბილიტაცია ვერ ხერხდებოდა. ახლა კი სკოლის დირექციას

ამის საშუალება მიეცა. პირველი ეტაპი, რომელიც 2015–2016 სასწავლო წლის დასაწყისში მიმდინარეობდა, გულისხმობდა სკოლების მიერ კითხვარის შევსებას. კითხვარის მეშვეობით ორგანიზაციას სურდა გაეგო არა მარტო სკოლის, არამედ, ზოგადად, მუნიციპალიტეტის მდგომარეობა, კაპიტალის ჩადებისას რა სარგებელს მიიღებდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება. კითხვარის შევსების შემდეგ, გასულ წელს, ორგანიზაციიდან სკოლას არავინ შეხმიანებია. წელს, სასწავლო წლის დასაწყისში კი, „ათასწლეულის გამოწვევის ფონდ — საქართველოს“ ტექნიკური ჯგუფი ეწვია და სკოლის შენობა დაათვალიერა. აღმოჩნდა, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტიდან პროექტში მხოლოდ ქალაქ ბაღდათის №2 საჯარო სკოლა მონაწილეობდა მაშინ, როდესაც იმერეთის რეგიონის თითოეული მუნიციპალიტეტიდან რამდენიმე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება იყო ჩართული. რადგანაც ქალაქ ბაღდათის №2 საჯარო სკოლას მუნიციპალიტეტში კონკურენტი არ ჰყავდა, სკოლის დირექციას ფინალში გასვლის იმედი გაუჩნდა.

„ათასწლეულის გამოწვევის ფონდ – საქართველოს“ ტექნიკური ჯგუფს ფოკუს ჯგუფად VIII-X კლასები ჰქონდა აღებული. მათ არამარტო ამ კლასების საკლასო ოთახები დაათვალიერეს, არამედ მათში მოსწავლეთა რაოდენობა და საგაკვეთილო პროცესში მათი ჩართულობა შეამოწმეს.

ტექნიკური ჯგუფის შემდეგ ბაღდათის №2 საჯარო სკოლას ორგანიზაციის კვლევის ჯგუფი ეწვია. მათ VIII-X კლასების მოსწავლეებისათვის, მშობლებისა და მასწავლებლებისათვის კითხვარები მოიტანეს. კვლევაში ამ კლასებიდან უკლებლივ ყველა მოსწავლე და მშობელი უნდა ჩართულიყო. მათი გამოკითხვის შემდეგ სკოლაში ტესტირების ჯგუფი ჩამოვიდა და VIII-X კლასების მოსწავლეებს კომპიუტერთან ჩაუტარდათ ტესტირება ქართულში, მათემატიკაში, ბიოლოგიაში, ქიმიასა და ფიზიკაში. პროექტის ყველა ეტაპის გადალახვის შემდეგ, ბაღდათის №2 საჯარო სკოლა „ათასწლეულის გამოწვევის ფონდ – საქართველოს“ პროექტის ფინალში გავიდა და მას ორგანიზაცია სრულ რეაბილიტაციას ჩაუტარებს. სკოლას გეოლოგებისა და არქიტექტორების ჯგუფი ეწვია. პროექტზე მუშაობა დაწყებულია და სკოლის სრული რეაბილიტაცია 2018 სასწავლო წლისთვის დასრულდება. ამ ეტაპზე პროექტის ტექნიკური დამუშავება მიმდინარეობს.

ქალაქ ბაღდათის №2 საჯარო სკოლაში სხვა სიახლეებიცაა. კერძოდ, ახალი სასწავლო წლიდან ფუნქციონირებას იწყებს მანდატურის სამსახური. ასევე სკოლაში მოეწყობა კვების ობიექტი (ბუფეტი და საცხობი). წელსაც გაგრძელდება გახანგრძლივებული სწავლება. რეგისტრაცია გაიარა 80 პირველკლასელმა, თუმცა სასწავლო წლის დასაწყისში შეიძლება შეიცვალოს მათი რაოდენობა. 2016–2017 სასწავლო წლებში ოქროს მედალზე სკოლა ბაღდათის №2 საჯარო სკოლის ექვსმა მოსწავლემ დაამთავრა.

ინფორმაციისთვის „ჩემი გაზეთის“ გუნდი ქალაქ ბაღდათის №2 საჯარო სკოლის დირექტორს – ლალი აბჟანდაძეს გაესაუბრა.

მარიამ ოქროჭელიძე

ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲠᲘᲜᲘᲜᲒᲘ

კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამა – „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი“ – საქართველოში 2011 წლიდან მოქმედებს და ხელმისაწვდომია საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის. პროგრამით გათვალისწინებული გამოკვლევები უფასოა. რეგიონებში კიბოს სკრინინგის პროგრამას ახორციელებს ეროვნული სკრინინგცენტრი (17 ქვეკონტრაქტორთან ერთად) დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსებით.

კიბო აღარ არის უკურნებელი სენი, თუ ის ადრეულ სტადიაში აღმოაჩინეს. სკრინინგის (ინგლ. – გადარჩევა, გამოხშირვა) პროგრამებიც სწორედ იმისთვისაა დანერგილი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, რომ კიბოს გამომწვევი პათოლოგიური პროცესების გამოვლენა ადრეულ სტადიაშივე მოხერხდეს. ავთვისებიანი სიმსივნეები პირველ-მეორე სტადიებში, მეტწილად, უსიმპტომოდ მიმდინარეობს. ადამიანი ვერ ამჩნევს, რომ რაღაც სჭირს. სიმპტომების უმეტესობა მე-3, მე-4 სტადიებში იჩენს თავს, როდესაც

კიბოსთან ბრძოლა ხშირად დაგვიანებული ან უშედეგოა. ამიტომაც არის აუცილებელი სკრინინგულ გამოკვლევებში მონაწილეობა და პათოლოგიის მანამდე აღმოჩენა და მკურნალობა, სანამ ის შეგაწუხებს.

აღნიშნულ პროგრამაში აქტიურად არის ჩართული ბაღდათის მუნიციპალიტეტი. გამგეობის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურისა (უფროსი მურად მაჭავარიანი) და ა.(ა).ი.პ. ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის (დირექტორი ნატო მაჩიტაძე) ორგანიზებით ბაღდათელებს საშუალება აქვთ ჩაიტარონ უფასო გამოკვლევები. აღნიშნული სამსახური, სოფლებში გამგეების წარმომადგენლები და სოფლის ექიმები აქტიურად მუშაობენ მოსახლეობასთან, აწვდიან მათ ინფორმაციას სკრინინგის შესახებ და სრულიად უფასოდ „სამედიცინო კორპორაცია ევექსისა“ და ჯანმრთელობის ცენტრ „ჰერას“ ტრანსპორტირებით მსურველები მიჰყავთ ქუთაისში გამოკვლევების ჩასატარებლად. „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის“ უფასო გამოკვლევებს ექვემდებარება შემდეგი ასაკობრივი ჯგუფები:

საშვილოსნოს ყელის სკრინინგი – 25-დან 60 წლის ჩათვლით, რაც ითვალისწინებს გინეკოლოგის გასინჯვას, პაპ–ტესტს (PAP-ტესტი) ბეტესტას მეთოდზე დაყრდნობით. აუცილებლად მიმართეთ ექიმს შემდეგი სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში:

- წელის ტკივილი;
- გამონადენი საშვილოსნოდან;
- სხვა სახის პათოლოგიური გამონადენი.

საშვილოსნოს ყელის კოლპოსკოპიური სკრინინგი – 25-60 წლის ქალებში, რომელიც მოიცავს, საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, უფასო კოლპოსკოპიის ჩატარებას (საშვილოსნოს ყელის მიკროსკოპიული გამოკვლევა); ასევე უფასოა კოლპოსკოპიის დროს აღებული ბიოფსიური მასალის მორფოლოგიური კვლევა. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი უფასოდ ტარდება სამ წელიწადში ერთხელ.

ძუძუს კიბოს გამოკვლევები – 40-დან 70 წლის ჩათვლით, რაც ითვალისწინებს მამოგრაფიულ გამოკვლევასა (2 რადიოლოგის წაკითხვით) და მამოლოგიურ გასინჯვას. საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, ასევე უფასოა ძუძუს ექოსკოპია. ძუძუს კიბოს სკრინინგი უფასოდ ტარდება ორ წელიწადში ერთხელ.

მამოგრაფია გულისხმობს სარძევე ჯირკვლის რენტგენოლოგიურ კვლევას. კვლევის ამ მეთოდით შესაძლებელია პათოლოგიური პროცესების აღმოჩენა. დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს, თუ აღმოაჩენთ:



- სიმსივნურ წარმონაქმნს ძუძუში ან იღლიის ფოსოში;
- ძუძუს კანის სიწითლეს ან სიმხურვალეს;
- ლიმონის ქერქისებურ კანს;
- ძუძუს კანის შეჭმუხვნას;
- უჩვეულო ტკივილს ძუძუში;
- წვას და სიწითლეს დვრილის არეში;
- დვრილის ჩაბრუნებას;
- სისხლიან ან სხვა სახის გამონადენს დვრილიდან.

პროსტატის გამოკვლევა – 50-დან 70 წლის ჩათვლით, რაც ითვალისწინებს სისხლში პროსტატის კიბოს ანტიგენის (PSA) გამოკვლევას. პროსტატის კიბოს სკრინინგი უფასოდ ტარდება წელიწადში ერთხელ. PSA ტესტი პროსტატის კიბოს განვითარების რისკის მართვის მეთოდია, რომლითაც განისაზღვრება სისხლში პროსტატის სპეციფიკური ანტიგენის (PSA) დონე. PSA-ს დონის მკვეთრი მომატება შეიძლება მიანიშნებდეს პროსტატის კიბოს არსებობის მაღალ რისკზე, თუმცა ეს მატება სხვა მიზეზითაც შეიძლება იყოს გამოწვეული (მაგ. პროსტატის ჯირკვლის გადიდებით, პროსტატიტით და საშარდე გზების ინფექციით). განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი სიმპტომეტი:

- გახშირებული შარდვა;
- გაძნელებული შარდვა ან შარდვის გახანგრძლივება;
- ტკივილი შარდვის დროს.

მსხვილი ნაწლავის გამოკვლევები – 50-დან 70 წლის ჩათვლით, რაც ითვალისწინებს ფარულ სისხლდენაზე სპეციალურ ტესტს (FOBT); საჭიროების დადასტურების შემთხვევაში უფასოა კოლონოსკოპიის ჩატარება; აუცილებლობის შემთხვევაში, ასევე უფასოა კოლონოსკოპიის დროს აღებული ბიოფსიური მასალის მორფოლოგიური კვლევა. მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი უფასოდ ტარდება ორ წელიწადში ერთხელ.

უჯრედების შეჯგუფება მსხვილ ნაწლავში, ზოგჯერ პოლიპებს წარმოქმნიან და წლების განმავლობაში ეს პოლიპები შესაძლოა კიბოდ გადაგვარდნენ. პოლიპებსა და მსხვილი ნაწლავის კიბოს ახასიათებს სისხლდენა, სკრინინგ-ტესტს კი შეუძლია სისხლის ყველაზე უმნიშვნელო შემცველობა გამოავლინოს განავალში. თუ სკრინინგ-ტესტმა სისხლდენა გამოავლინა, აუცილებელია, კოლონოსკოპია ჩაიტაროთ. კოლონოსკოპიით ხდება მსხვილი ნაწლავის შიდა ზედაპირის დათვალიერება. გამოკვლევის ეს მეთოდი გამოავლენს პოლიპებსაც. პოლიპი არ არის ავთვისებიანი სიმსივნე, თუმცა შეიძლება კიბოდ გარდაიქმნეს. მათი მოშორება მნიშვნელოვნად ამცირებს მსხვილი ნაწლავის კიბოს განვითარების ალბათობას. საყურადღებოა შემდეგი სიმპტომები:

- დარღვეული კუჭის მოქმედება;
- განსაკუთრებით გახშირებული კუჭის მოქმედება, რომელიც გრძელდება რამდენიმე კვირის განმავლობაში;
- გამკვრივებული მუცლის არე.

კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის – „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის“ ფარგლებში, 27 ივლისს, ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმში, ბერძნული კლინიკა „ჰიპოკრატეს“ სამედიცინო ჯგუფის მიერ, სოფლის მცხოვრებთ ადგილზევე ჩაუტარდათ უფასოდ ძუძუს კიბოს, საშვილოსნოს ყელისა და პროსტატის გამოკვლევები. ანალოგიური გამოკვლევების ჩატარება მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებშიც იგეგმება.

ანა ქორიძე

სამართლიანი არჩევნები სამართლიანი არჩევნებისთვის

სამართლიანი არჩევნები და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) ევროკავშირის მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „თვითმმართველობის არჩევნების შესახებ ცნობიერების ამაღლება ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციებისა და თვითმმართველობების ჩართულობით“. პროექტის ფარგლებში, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, საჯარო მოხელეებისათვის ჩატარდა სემინარი, რომელსაც უძღვებოდნენ სამართლიანი არჩევნების რეგიონალური კოორდინატორი თეონა გოგიშვილი და განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის წარმომადგენელი სოფიო კუპატაძე. სემინარზე განიხილეს შემდეგი საკითხები:

- ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები;
- საარჩევნო ადმინისტრაცია;
- ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილება წინასაარჩევნო პერიოდში;
- ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივად გამოყენება;
- ამომრჩევლის მოსყიდვა.

პროექტი მიზნად ისახავს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და ხორციელდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამა

19 ივლისს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სააქტო დარბაზში, პროექტ „ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების“ განხილვა გაიმართა. პროექტის მიზანია, მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული სამსახურების გაძლიერება, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ახალგაზრდების ჩართულობის ზრდას ადგილობრივ ცხოვრებაში და მუნიციპალურ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შექმნას, რომელიც ორიენტირებული იქნება მათ საჭიროებებსა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის მდგრადი ინსტიტუციონალური მექანიზმების დანერგვაზე.

პროექტის საპილოტე პროგრამა ქვეყნის მასშტაბით ჯერჯერობით მხოლოდ ორ მუნიციპალიტეტში განხორციელდა – თელავში და ბაღდათში. ჩვენს მუნიციპალიტეტში უკვე ჩატარდა ახალგაზრდული საბჭოს არჩევნები.

პროექტის პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, იმერეთის სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის პირველი მოადგილე პაატა ნადირაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია World vision საქართველოს წარმომადგენლები, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მ/შ არჩილ გოგსაძე, საკრებულოს თავმჯდომარე გრიგოლ მაჩიტაძე, გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლები.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 27 ივლისიდან 29 ივლისის ჩათვლით, ბაღდათის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ახალგაზრდული საბჭოს წარმომადგენლებს სამდღიანი ტრენინგი ჩაუტარდათ. ტრენინგის მიზანი იყო ბაღდათის ახალგაზრდული საბჭოს გაძლიერება და წევრთა კომპეტენციების ამაღლება შემდეგი მიმართულებებით:

- გუნდური მუშაობა;
- ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებები;
- ახალგაზრდული სექტორი და ახალგაზრდული საქმიანობა;
- ახალგაზრდების მონაწილეობა.

ტრენინგის ფარგლებში ახალგაზრდული საბჭოს წარმომადგენლები გაეცნენ ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის პრინციპს, ახალგაზრდული საბჭოს საქმიანობასა და თავიანთ უფლებამოსილებებს. ტრენინგი მიმდინარეობდა კითხვა-პასუხის რეჟიმში და მას უძღვებოდნენ ნინა გოგოლაძე და რატი ჭეიშვილი. პროექტ „ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების“ ფარგლებში საბჭოს წარმომადგენლებისათვის ტრენინგის მე-2 ეტაპი გაგრძელდება სექტემბერში. ახალგაზრული საბჭოს წარმომადგენლები გეგმავენ აქტიურად ჩაერთონ 11 აგვისტოს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაში. ბაღდათის მუნიციპალიტეტში პროექტის კოორდინატორები არიან გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურისა და World Vision საქართველოს წარმომადგენლები.

ანა ქორიძე

მაიაკოვსკი – 124

ვლადიმერ მაიაკოვსკის 124 წლის იუბილე მისსავე სახელობის სახლ-მუზეუმში კოტე კიკნაძის წიგნის პრეზენტაციით აღინიშნა. „წიგნში „მაიაკოვსკი – მეცამეტე მოციქული“ შესულია ოთხი ესე, რომლებიც დაიბეჭდა ჟურნალ „ახალ საუნჯეში“ სხვადასხვა დროს. აქ საუბარია პოეტის ცხოვრების ისეთ ეპიზოდებზე, რომელიც ნაკლებადაა ცნობილი ქართველი მკითხველისთვის. ესეებში წარმოდგენილია ინფორმაცია საბჭოთა უშიშროების საიდუმლო დოკუმენტებიდან, რაც საშუალებას მისცემს ქართველ მკითხველს სხვა თვალით შეხედოს მაიაკოვსკის როგორც ხელოვანსა და ადამიანს, გაითავისოს გენიალური პოეტის ტრაგიზმი...“ – გვამცნობს წიგნის რედაქტორი ცირა ყურაშვილი. ესეების გარდა, გამოცემაში შესულია პოეტ ზაალ ებანოიძისა და კოტე კიკნაძის მიერ ნათარგმნი პოეტის ლექსები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ იმერეთის სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე, პირველი მოადგილე პაატა ნადირაძე, მოადგილე იოსებ ხახალეიშვილი, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მ/შ არჩილ გოგსაძე, საკრებულოს თავმჯდომარე გრიგოლ მაჩიტაძე, ვანისა და ბაღდათის ეპარქიის მიტროპოლიტი ანტონი (ბულუხია).

წიგნის გამოცემა შესაძლებელი გახდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის (უფროსი კახა გოგნაძე) დაფინანსებით.

არსენას თასი

აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული არსენა დევიძის სახელობის საფეხბურთო ტურნირი „არსენას თასი“ სოფელ წითელხევში 1994 წლიდან ტარდება და ამით თანასოფლელები პატივს მიაგებენ მის ხსოვნას. წლევანდელ ტურნირში სოფლის ოთხი უბნის გუნდმა ითამაშა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა შეხვედრა დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. ფინალში ერთმანეთს „ჭალისა“ და „ეწერის“ გუნდები დაუპირისპირდნენ – „ჭალამ“ 4:1 დაამარცხა მეტოქე და ზედიზედ აღმართა ამჯერად ახალი გარდამავალი „არსენას თასი“. გუნდებს თასები და სამახსოვრო საჩუქრები ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გრიგოლ მაჩიტაძემ და გამგეობის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა კახა გოგნაძემ გადასცეს. ტურნირის ორგანიზებულად ჩატარებაზე სოფელ წითელხევის მაჟორიტარმა დეპუტატმა გაბრიელ ღიბრაძემ და გამგებლის წარმომადგენელმა იზრუნეს.

ჩემი წიგნი ბაღდათს

ბაღდათის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა ბაღდათის ცენტრალურ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა კოტე კიკნაძის მიერ თარგმნილი ესეების კრებული – ვლადიმერ მაიაკოვსკი, მეცამეტე მოციქული. “მშვიდობის კორპუსის” მოხალისე რაიან ჰასკელმა კი საბავშვო ბიბლიოთეკას ამერიკიდან საბავშვო ლიტერატურა ჩამოუტანა. აქციას უკვე მეორედ შემოუერთდა ნათია ჟვანია.

მან პირადი ბიბლიოთეკიდან ღირებული ლიტერატურა გადმოსცა ჩვენს ბიბლიოთეკას.

ᲖᲔᲙᲐᲠᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲐ

ზეკარის ხეობა ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში „რკინის-ჯვრის“ ხეობად მოიხსენიება. „რკინის ჯვარი“ ზეკარის ხეობისა და უღელტეხილის მეორე სახელწოდებაა. ერთი უძველესი გადმოცემის თანახმად, რომელიც „ქართლის ცხოვრებაშია“ შეტანილი, საქართველოში ქრისტიანობის პირველი მქადაგებელი წმინდა ანდრია მოციქული ტრაპიზონიდან გადასულა „ქუეყანასა ქართლისასა“, აქ, „ყოველივნე მოაქცივნა, ნათელ-სცა ყოველთა სახელითა მამისათა და ძისაითა და სულისა წმინდისაითა“. შემდეგ გადმოსულა დასავლეთ საქართველოში, ზეკარის ხეობით გადაუვლია „ღადოს“, ანუ ფერსათის მთები და აღუმართავს რკინის ჯვარი ნიშნად ქრისტეს რჯულის ამ ადგილებში დამკვიდრებისა. ამის შემდგომ მთასა და ხეობას „რკინის ჯვარი“ ეწოდა.

„ქართლის ცხოვრების“ ქრონიკებში, „ჟამთააღმწერელი“, როცა მონღოლთა წინააღმდეგ „კოხტასთავის“ შეთქმულებისა და ცოტნე დადიანის გმირობის ამბავს აღწერს, ერთგან მოიხსენიებს „რკინის ჯვარს“, სადაც შეთქმულების მონაწილეებს ლაშქრის შეკრების ადგილი ჰქონდათ დანიშნული. “„ჟამთააღმწერელი“ წერს: „...და ვითარ მოეახლა პაემანი, მივიდა დადიანიცა ცოტნე, ლაშქრითა მათდა ადგილსა, რომელ არს რკინის ჯუარი, შორის სამცხისა და ღადოსა“.

ხეობაში გამავალი გზა ბევრად უფრო ძველია, ვიდრე ქართული და უცხო ისტორიული წყაროებით არის ცნობილი. ეს გზა დასავლეთ საქართველოს აკავშირებდა სამცხე-ჯავახეთთან და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან; ჰქონდა, როგორც სავაჭრო, ასევე სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება. უხსოვარი დროიდან მოყოლებული სამტროდ შემოსულ მრავალ გადამთიელს ურიცხვი ლაშქრით არა ერთხელ გაუთელავს გზის შესახებ, მე-18 საუკუნის დიდი ქართველი ისტორიკოს-გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის (ბატონიშვილის) ნაშრომში „აღწერა სამეფოისა საქართველოსა“ ვკითხულობთ: „გარდავალს აქედან ოძრახედან გზა კაკასხიდზედ ბაღდადს, ამ გზას ეწოდა, მთით, რკინის ჯვარი“ („ოძრახე“, იგივე „ოძრხეა“ – ციხე-ქალაქი მესხეთში, ახლანდელი აბასთუმნის მიდამოებში მდებარეობდა). ზეკარის (რკინის ჯვრის) ხეობა უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული, რასაც ნათლად ადასტურებს ხეობის მრავალი ნასოფლარის, ნაციხარისა და მეხსიერებამ, მართალია მცირედ, მაგრამ მაინც შემოგვინახა ზეკარის ხეობის ნასოფლარებისა და ამ ნასოფლარების ადგილთა სახელები. ზეკარის ხეობა ცნობილი, ისტორიული „კაკას ხიდიდან“ იწყება, მდინარეების-ზეკარის ხეობის მდინარე ქერშოულისა და ხანისწყალის შესართავთან. აქედან ზეკარის ხეობაში, მე-19 საუკუნის 80-იან წლებში რუსეთის იმპერიის, რომანოვების სამეფო კარის ბრძანებით დაუწყიათ დაახლოებით 50 კილომეტრიანი სადილიჟნო გზისა და ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რომელიც ცოტა ხნით ადრე, მათ მიერ დაარსებულ კურორტ აბასთუმანთან დააკავშირებდა ქუთაისს.

ზეკარის ხეობის პირველი და ყველაზე დიდი სოფელი ზეკარი ყოფილა, რომლის სახელისაგან მომდინარეობს ამ ხეობისა და ბალნეოლოგიური კურორტ ზეკარის სახელწოდებები. მისგან ჩრდილო- დასავლეთით, გამოღმა 4-5კილომეტრში მდებარეობდა სოფლები - პიტნეეთი და საფრიეთი. კურორტი ზეკარი კი, ,,კაკას ხიდიდან“ 4 კილომეტრითაა დაცილებული და ამჟამად არ ფუნქციონირებს. აქ შემორჩენილია მხოლოდ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში აგებული ცხელი, გოგირდოვანი წყლის აბანოს შენობა, ისიც ავარიულ მდგომარეობაშია. იმ დროს გაყვანილი სადილიჟნო გზა, ზეკარის ხეობის ერთ დროს საკმაოდ დიდი სოფლების /ამჟამად ნასოფლარების/-ქერშავეთის, ვენახჭალის, გელოიქეთის გავლით რკინის ჯვრის უღელტეხილისაკენ /ზღვის დონიდან 2200 მეტრი/ მიემართება და დასავლეთით კურორტ აბასთუმნისკენ ეშვება. ამ გზის პროფილი, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის 150 წლის წინათ არის გაყვანილი, ძირითადად შენარჩუნებულია. განსაკუთრებით კი მისი ის მონაკვეთი „ცხრა მუხლის“ გზა რომ ჰქვია და რომელიც სერპანტინივით მთებზე გადადის და ალპურ ზონაში მთავრდება. ზეკარის ხეობაში სხვა ნასოფლარებიც გვხვდება – ზაქარიათი, ხიხა, ბზარნალი, კიბიათა. არის რამდენიმე ნაციხარი. ხეობის დასაწყისში „კაკას ხიდი“ -ს სამხრეთით, სოფელ ზეკარის მისავალში – „კაკასხიდის ციხე“ და ნასოფლარ კიბიათას სიახლოვეს – „მადნის სერზე“, საკმაოდ დიდი ციხის ნანგრევები, რომელიც უკვე დიდი ხანია უკანონო „არქეოლოგიური“ გათხრების „პოლიგონად“ არის გადაქცეული /ისევე, როგორც ეს ხდებოდა ამ 5-6 წლის წინათ ნასოფლარ ბზარნალში/. “ცხრამუხლი“-ს გზის დასაწყისში, მე-20-ე საუკუნის 80-იან წლებამდე ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი და ახლა სრულიად გამქრალია ე.წ. „ბაგრატნაშენი“-ს გზა-ჩამკეტი ციხე. სამივე ეს ციხე-სიმაგრე სავარაუდოდ, აგებული უნდა იყოს მე-16 საუკუნის შუა ხანებში იმერეთის მეფის ბაგრატ მე-3 ალექსანდრეს ძის მიერ /მეფობდა 1510-1565 წლებში/, რომელიც იმით გამოირჩევა საქართველოს /იმერეთის სამეფოს/ ისტორიაში, რომ ის იყო ძალიან ენერგიული, ჭკვიანი და დაუღალავი მებრძოლი მეფე, იმდროისათვის დასავლეთ საქართველოში ოსმალური ექსპანსიის წინააღმდეგ და ოსმალებზე რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვებაც მოიპოვა 1535 და 1543 წლებში /ზეკარის ხეობასთან დაკავშირებული ამ და სხვა ისტორიული ამბების შესახებ მოთხრობილი მაქვს წიგნში – „ზეკარის ხეობის ტოპონიმიკა“/.

ზეკარის /რკინის ჯვრის/ ხეობა საოცარი სილამაზისაა. გარდა იმისა, რომ აქ არის ერთ დროს სახელგანთქმული კურორტ ზეკარის ცხელი, გოგირდოვანი სამკურნალო წყლების აბანო, ამ ხეობაში ვხვდებით მინერალურ წყაროებსაც და ასევე მდიდარია ხეობის ფლორა და ფაუნა. ერთი სიტყვით, არსებობს რეალური პერსპექტივა იმისა, რომ კურორტი ზეკარი და საერთოდ ეს ხეობა შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების შემდეგ, არა მარტო უცხოელი ტურისტებისათვის, არამედ ჩვენი ქვეყნის თვითოეული მოქალაქისათვის გადაიქცეს ტურიზმის, დასვენებისა და მკურნალობის მნიშვნელოვან კერად...

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲝᲚᲝᲠᲓᲐᲕᲐ

P.S. ტოპონიმი „ზეკარი“ კომპოზიტია და სიტყვასიტყვით ნიშნავს „ზედა“, „ზემოთა კარს“. „ზეკარი“ ასევე აღნიშნავს უღელტეხილის, ხეობის გადასავალ გზას.

ᲑᲔᲠᲘᲔᲗᲘ

ნასოფლარი ბერიეთი სოფელ კაკასხიდიდან აღმოსავლეთით, 2 კილომეტრის დაცილებით, „ხვალასკურის“ მთის მიდამოებში მდებარეობს. ეს სოფელი მესხეთიდან გადმოსახლებულ ბერიძეებს დაუარსებიათ. სავარაუდოა, რომ გადმოსახლება მოხდებოდა 1579 წლის შემდგომ ხანებში, მას შემდეგ, რაც შეიქმნა ახალციხის საფაშო და მართლმადიდებელი ქრისტიანი ქართველებისათვის მესხეთში ცხოვრება გაუსაძლისი გახდა. სოფლის სახელი ბერიეთი, როგორც ჩანს, ბერიძეთა გვარისაგან მომდინარეობს. ეს გვარი ყველაზე რიცხვმრავალი გვარია საქართველოში და მისი უძველესი ფესვები მესხეთშია საძიებელი. „ბერა“, „ბერი“ ძალიან ძველი ქართული წარმოშობის, კაცის პიროვნული სახელია. ამ სახელს უხსოვარი დროიდან მოყოლებული სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა, ნიშნავდა – „მოხუცს“, „მამას“, „შვილს“ და შედარებით გვიან, ქრისტიანული ეკლესიის მკაცრი კანონიკური წესების დაცვით გამორჩეული საეკლესიო მოღვაწის ზოგად სახელად იქცა. ნიშანდობლივია ისიც, რომ,,ბერ” ფუძე აქვს მრავალ ქართულ გვარს, რომელთა ჩამონათვალმა, შეიძლება 50-ს გადააჭარბოს.

XVII-XVIII სს-ში ბერიეთი საკმაოდ დიდი სოფელი იყო და ზეკარის (ჯვრის) უღელტეხილისაკენ მიმავალი გზის ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენდა. ნასოფლარის მიდამოებში დგას სავარაუდოდ, XVI-XVII სს-ის მიჯნაზე აგებული დარბაზული ტიპის ეკლესია. დღეს მისი მხოლოდ ძლიერ დაზიანებული კედლები და ნახევრად ჩამონგრეული დასავლეთის ფასადია შემორჩენილი. ეკლესიის კარის თაღებზე ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა დაქარაგმებული ხუცური წარწერით: „ჯვარი დიდებისაი“. ქარაგმის ნიშნად ნახმარია მოკლე, განივი სწორი ხაზი.

თუმცა წერილობითი ისტორიული წყაროებით არ დასტურდება, მაგრამ ძველი ხალხური გადმოცემებისა და რამდენიმე გარემოების გამო, შეიძლება დანამდვილებით ვივარაუდოთ, რომ მესხეთიდან ამ ადგილებში გადმოსული ბერიძეების გვარი გამრავლებულა და, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხდებოდა – მას შტო-გვარები გამოეყო, რომლებიც შემდეგ დამოუკიდებელ გვარებად გადაქცეულან; ეს გვარებია – გორგოძე და კოხოძე.

გორგოძეებისა და კოხოძეების გვარის დიდი ნაწილი დროთა მანძილზე სოფელ ბერიეთის აღმოსავლეთით, მდინარე საკრაულის ხეობაში გადასახლებულან, რისი მიზეზიც შეიძლება ერთის მხრივ ყოფილიყო სრულიად ბუნებრივი რამ – მოსახლეობის გამრავლება და ახალი საცხოვრისის მოძიება. ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლოა ბერიეთის მოსახლეობისათვის გაუსაძლისი გამხდარიყო ახალციხის საფაშოდან თურქების გამუდმებული თავდასხმები (შეიძლება ამ სოფლიდან მოსახლეობის დიდი ნაწილის ახალ საცხოვრებელ ადგილებში მასიურად გადასვლა, „ჟამიანობის“ გამოც ვივარაუდოთ, რომელმაც მე-17-ე საუკუნეში მდინარეების ხანისწყლისა და წაბლარასწყლის ხეობის თითქმის ყველა სოფელი დააცარიელა და გააუკაცრიელა,მაგრამ სოფელ ბერიეთის მაგალითზე ეს ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ბერიეთის ნასახლარების ზედაპირული დათვალიერების დროსაც კი, აქ ჩანს ადამიანთა ცხოვრების უწყვეტი ჯაჭვი და არ იკითხება ამ ნასახლართა უეცრად მიტოვების დიდი ხნის კვალი. 1944 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ისევე როგორც ბაღდათის მხარის სხვა სოფლებიდან, ბერიეთში მცხოვრები ოჯახებიც გადაასახლეს მესხეთში, ადიგენისა და ახალციხის რაიონებში. ამის შემდეგ აქ ცხოვრებას კვლავ აგრძელებდა რამდენიმე ოჯახი, რომლებმაც გასული საუკუნის 50 იან წლებში მიატოვეს ეს ადგილები და ახლა ფაქტიურად „ბერიეთი“ გატყევებულია).

გორგოძეების გვარი დღევანდელ სოფელ ზედა ზეგანში დასახლებულა, ხოლო კოხოძეები – ქვედა ზეგანში.

ამ ორი გვარის ნათესაობას რამდენიმე ხალხური გადმოცემა ამტკიცებს: ერთ-ერთის თანახმად, რასაც ალბათ ამ გვარების მატარებელი ბევრი ხანდაზმული ადამიანი დაადასტურებს, არ შეიძლებოდა და მკაცრად იყო აკრძალული, რომ კოხოძეს ცოლად მოეყვანა გორგოძე და გორგოძეს-კოხოძე. არის კიდევ ერთი ძველი ხალხური გამოთქმაც: „ეივალა გორგოძემ და გადიხადა კოხოძემ.“ მთავარი არგუმენტი კი ამ ორი გვარის საერთო წარმოშობისა არის ის, რომ ყოველი წლის 2 აგვისტოს გორგოძეები და კოხოძეები ნასოფლარ ბერიეთში ერთად დღესასწაულობენ „ბერიეთობას“.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲝᲚᲝᲠᲓᲐᲕᲐ

სამიოდე თვის წინ ბაღდათის ადგილობრივმა თვითმმართველობამ კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოში წარადგინა პროექტი ბერიეთის ნაეკლესიარის არქეოლოგიური შესწავლისა და რესტავრაციის შესახებ. პროექტმა გაიარა რამდენიმე კომისია, ექსპერტიზა და საბოლოო განხილვისა და დამტკიცებისათვის გადაეცა საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“.



ანა-რეკლი

სცენა – წითელი მინდორი; **დეკორაცია** – ქვასაყდარა; **დიდმაღალი.**

ცეკვა და **ფრენა** ტეხილებით და ქარტეხილებით ბაღდათურად; **შეთამაშება** მზესთან და ნისლში ლივლილი; **მთებში** გატყორცნილი ხმები.

ქმედება – შემოქმედება: კულტურის ცენტრის „ბაღდათი“ ცეკვავს და მღერის – ბაღდათის საინფორმაციო ფოტო-ვიდეოს „კადრ-ულობს“. ფოტოგალარეა „ანა-რეკლში“ ნახეთ, ვიდეოკლიპს მალე ვნახავთ.

ბაღდათი წითელ მინდორგე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ. ინფორმაციის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი
საქართველო, ბაღდათი, რუსთაველის ქ. №68
ტელ: 595 538 536; 595 452 803
ელ ფოსტა: sainformacioturizmi@gmail.com

რედაქტორი სოსო ჯოტორეიშვილი
„ჩემი გაზეთის“ გუნდი:
ანა ქორიძე, მარიამ ოქროჭელიძე,
ანჟელინა ჭავჭანიძე,
ანა ფხალაძე

გაზეთი დაკაბადონდა
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორში“